გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 198

2023 წლის 10 ნოემბერი
ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ

მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა გორის №32 საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2023 წლის 23 ოქტომბერს N 32/35 წერილი (საკრებულოში რეგისტრაცია: N:10-21232963-21; 23.10.2023 წელი), რომლითაც წარმოდგენილია N32 გორის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2023 წლის 20 ოქტომბრის განკარგულება N04/2023 „გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლის ცნობის შესახებ". „გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №1 დადგენილების მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობა ხდება საკრებულოს მიერ გორის №32 საოლქო საარჩევნო კომისიის წარდგინებისა და საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისიის დასკვნის საფუძველზე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად,

1. ცნობილ იქნეს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გურამ კორინთელის უფლებამოსილება.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**